№ 4 6 იანვარი, პარასკევი 1866—1878 6 იანვარი, პარასკევი № 4

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.
**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8.
**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".
**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.
**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**ნათლის-ღების დღესასწაულის გამო, ამ შაბათს გაზეთი არ გამოვა.**

ამ 1878 წელს გაზეთი

## „დროება"

**გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.**

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

**მომავალ წელსაც „დ რ ო ე ბ ა" მუდამ დღე გამოვა,**

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

**ხელის-მოწერა**

თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების" რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში).

გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Д р о э б а".*

**ფასი გაზეთისა**

| | | |
|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . . . . . . . . . | 8 მან. | „ კაპ. |
| ექვსის თვისა . . . . . . . . . . . . . | 4 „ | 50 „ |
| ოთხის თვისა . . . . . . . . . . . . . | 3 „ | „ „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

# ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

**შიპკა**, 3 იანვარს. 27-სა და 28-ს დეკ. ჩვენ შემდეგი ზარალი მოგვეცა: მოკლული გვყავს—19 აფიცერი და 1,083 სალდათი; დაჭრილი—98 აფიცერი და 4,246 სალდათი. დაჭრილობისაგან 2 აფიცერი მოგვიკვდა და 16 აფიცერიც გაკაწრულია. სულ გვყავს 5,464 კაცი მოკლულ-დაჭრილი.

ღენერალი პაპცოვი იწერება, რომ ოსმალოებმა მიატოვეს თავის გამაგრებული პოზიციები კოზნიცისა და კლისურთან და კოპრავშიცისაკენ უკან დაიწიესო, საიდამაც პოლკ. კომაროვსკის ატრიადმა კიდევ უკან გარეკაო.

ჩვენმა მოწინავე ატრიადმა აიღო ესკი-ზაგრა, რომელიც დაენგრიათ და ისე მიეტოვებინათ მცხოვრებლებს.

ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი, რაც ჩვენ ოსმალეთს 28 დეკემბერს დავატოვებინეთ; მარტო 81 ზარბაზანი დავთვალეთ, რომლიდამაც 2 თ. მირსკიმ აიღო, 25 ღენ. სკობელევმა და 54 შიპკოსთან. 5 ბაირაღი ღენ. სკობელევმა წაართვა მტერს და 2 ცხენოსანმა ჯარმა.

**შიპკა**, 4 იანვარს. 30 დეკემბერს ღენ. ველიამინოვმა, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, აიღო სამ კუტი.

ჩვენის მხრით ამ დროს 1 აფიცერია მოკლული და 22 სალდათი; დაჭრილი 1 აფიცერი და 137 სალდათი.

ამავე დღეს ღენ. შუვალოვის ატრიადმა დაიჭირა ტროიანის ვაროტა და ღენერალმა დერბელმერმა აიღო ვეტრენოვო, რომელიც 15 ვერსზედაა თათარ-ბაზარჯიყიდამ.

**პეტერბურღი**, 4 იანვარს. გაზეთს „Голосъ"-ში სწერენ ვენიდამ 2 იანვარს: ოსმალეთის სამხედრო რჩევამ აცნობა სამინისტროს, რომ ოსმალეთს ბრძოლა გაუჭირდებაო და ამის გამო საჭიროა, რომ მორიგება მოვახდინოთო. ხალხის მღელვარება თან-და-თან ვრცელდება ოსმალეთში. ადრიანოპოლი თითქმის უჯაროთ დარჩა. როცა ოსმალოები გამოვიდნენ ესკი-ზაგრიდამ, ეს ქალაქი სრულებით გადასწვეს.

**ვენა**, 3 იანვარს. სერვერ-ფაშას და ნამიხ-ფაშას მიანდვეს დროებით მორიგების თაობაზე მოლაპარაკება; ისინი წავიდნენ სტამბოლიდამ უაზანლიკში დუნაის არმიის რუსის მთავარ კვარტირაში.

**ვენა**, 4 იანვარს. იმედი აქვთ რომ ინგლისისა და რუსეთის მმართებლობა მორიგდებიან დარდანელის წყლის თაობაზე, რადგან თ. გორჩაკოვს ისეთი პლანი მოუნახავს, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს.

აქ ვენაში, ამბობენ, რომ სანამ რუსები ადრიანოპოლს არ აიღებენ, მანამ დროებით მორიგება არ მოხდებაო.

სერვერ-ფაშამ უნდა შეიტყოს რუსეთის პირობები, რომელიც თავის მმართებლობას უნდა აცნობოს და მხოლოთ შემდეგ გადაწყდება საქმე.

**სტამბოლი**, 4 იანვარს. ორშაბათსა და სამშაბათს დიდი ბრძოლა იყო თათარ-ბაზარჯიყსა და ფილიპოპოლს შუა. სულეიმან-ფაშამ უბრძანა ფილიპოპოლის მცხოვრებლებს, რომ ქალაქი დაცალონ. რუსები ჩირპანში არიან და ენიმაკალესაკენ მიდიან.

---

# ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

ვენის გაზეთში „Politische Correspondenz" სტამბოლიდამ იწერებიან 28 დეკემბერს:

„აქ დაწყობილია მოლაპარაკება დროებითს მორიგებაზე რუსეთსა და ოსმალეთს შუა და ამ სამ დღეში მოელიან რუსეთის პირობებს მორიგებაზე. ფიქრობენ, რომ რუსეთის მთავარი კვარტირა დათანხმდება მარტო ექვსი კვირის დროებით მორიგებაზე."

---

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა, რომელიც დიდ მთავარს კავკასიის მთავარ-მართებელს გაუგზავნია პეტერბურღში 28 დეკემბერს:

„ახლა, როდესაც ჩვენმა ჯარებმა სოფ. ილიჯი და ამ სოფლის სამხრეთით მდებარე ადგილები დაიჭირეს, არზრუმიდამ ტრაპიზონს მიმავალი გზა სრულებით შეკრული არის ოსმალებისათვის.

„მუხთარ-ფაშა დღეს თავის მცირე ჯარით ბაიბურთშია. არზრუმის გარნიზონის უფროსობა იზმაილ-ფაშას აქვს მინდობილი."

---

ფრანცუზულს გაზეთს „Le Nord"-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„სმირნოვის ქალი გვწერს ჩვენ პარიჟიდამ, რომ იმას მიუღია სომხეთიდამ ამბავი კაპიტანის მიხეილ თომაევის სიკვდილის თაობაზე; ეს აფიცერი 28

ოქტომბერს იყო მძიმეთ დაჭრილი არზრუმთან, როცა რუსები აზიზიეს ციხეს მიადგნენ ასალებათ. დაჭრილი თომაევი ოსმალების ხელში ჩავარდა, რომელთაც, როგორც ამბობენ, ბრძოლის შემდეგ მოჰკლეს, თუმცა ინგლისელი სანიტარები ცდილობდნენ თურმე, რომ არ დაეცვათ ის; ერთმა ოსმალოს აფიცერმა მოკლა თომაევი იმ დროს, როდესაც ეს მტრისაგან თავს იცვავდა. ამ საგნის თაობაზე ინგლისისა და საფრანგეთის კონსულებმა პროტოკოლი შეადგინეს.

„სმირნოვის ქალი გვთხოვს ჩვენ, რომ ეს გარემოება საყოველთაოდ გამოვაცხადოთ, იქნება მიცვალებულის ჭირისუფლის ყურებამდინ მოაღწიოსო, რომელნიც კავკასიაში ცხოვრებენო.“

---

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

ბერლინიდამ 27 დეკემბერს გაზეთს „Tagblatt“-ში სწერენ, რომ, როცა ოსმან-ფაშა ტყვეთ აიყვანეს, მას დაუბრუნეს არათუ მარტო ხმალი, არამედ სრული თავისუფლებაცო. მაგრამ თავისუფლებაზედ მან უარი ჰყო და თქვა, რომ ის თავის თავს ვალდებულად რაცხს, იმავე ბედს დაემორჩილოს, რა ბედ ქვეშაც იმის არმია იქნება.“

—

ვენიდამ სწერენ გაზეთს „Голосъ“-ში 22 დეკემბერს, რომ მეჰმედ-ალი-ფაშა დანიშნულია ხელ-მეორეთ ოსმალოს ჯარის მხედართ-მთავრათ და რომ ის მიდის ლოვჩაში დროებითი მორიგების მოსალაპარაკებლათ.

—

დიდ მთავარს ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძეს მიუწერია ოსმან-ფაშისათვის, გორნი-დუბნიაკის აღების შემდეგ, რომ მთელი პლევნა გარშემორტყმულია და არ მინდა, რომ უბრალოთ მოხდეს სისხლის-ღვრა ჩვენში, ამისათვის გირჩევთ, რომ დაგვემორჩილოთო.

ამაზედ ოსმან-ფაშას პასუხათ მოუწერია, რომ, თუმცა მეც თანახმა ვარ, რომ ბევრი სისხლის-ღვრა მოხდება, მაგრამ მე არას დროს არ მივცემ ჩემ თავს ნებას, რომ დავაყრევინო ჯარს თოფიარაღი და დაგემორჩილოთ, სანამ უკანასკნელი ღონის-ძიება არ გამომლევია. თუმცა ღენ. გურკოს აუღია გორნი-დუბნიაკი და იმის დამცველი დამორჩილებია, მაგრამ მაინც მე არ მგონია პლევნა იმნაირ მდგომარეობაში იყოს, რომ ჩვენი დამორჩილებაც საჭირო იყვეს.

„მე და ჩემი მამაცი ჯარი არ დავიზოგავთ უკანასკნელ წვეთს სისხლს ჩვენი მოვალეობის ასასრულებლათ და სამშობლოს დასაცველათაო!“ ასე ასრულებდა ოსმან-ფაშა თავის წერილს.

---

# საქართველო

## დღიური

*** როგორც მოგეხსენებათ, ამას წინათ თფილისშიაც შესდგა საზოგადოება, ანუ კომიტეტი იმ სომხებისათვის ფულებისა და ყოველ გვარ საჭირო საგნების მოსაგროვებლად, რომელნიც ღენერალის ტერ-ღუკასოვის შემწეობით გადმოსახლდნენ ჩვენში ოსმალოს სომხეთიდამ.

ეს კომიტეტი აცხადებს ახლა, რომ იმას შეუკრებია ამ საგნისათვის სულ—35,592 მან. და 59 კაპ.

ამფულებიდამ, დანიშნულებისა—დაგვარად, 1 ნოემბრამდინ დაუხარჯავთ სულ 8,260 მან. და 93 კაპ.; დანარჩენი 27,331 მან. და 63 კაპ. კი თფილისის საურთიერთო საზოგადოების ბანკში.

ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ხსენებულ კომიტეტს ფულის მოგროვება კი სცოდნია, მაგრამ მოხმარება კი არა: მოუგროვებია ეს ამდენი ფული და ბანკში შეუნახავს! და შეუნახავს იმ დროს, როდესაც იმათ, ვისთვისაც ეს ფული მოგროვილია, ვინ იცის იქნება სიცივისა და შიმშილისაგან სიცოცხლე ელევათ...

*** თუ რამდენად შემცირებულა ამ ჭირისაგან ჩვენში პირუტყვის რიცხვი და როგორ გაძვირებულია ყველაფრის ზიდვა ურმითა,—ამის დასამტკიცებლად მოგვყავს ის გარემოება, რომ კავკავიდამ თფილისამდინ მეურმეები თითო ფუთის საქონლის გადმოტანაში 2 მანეთსა და 50 კაპეიკს იღებენ.

*** „ივერიის“ პირველი ნომერი სათაურ გამოცვლილი გამოვიდა; ძველი სათაური ხო კარგი იყო, მაგრამ ეს კიდევ უკეთესია: ერთის შეხედვით ახალ მთვარესა ჰგავს. ტურკოფილობა არ დაგწამონ, უფრთხილდით... მაგრამ ამის შიში არ არის...

ამ პირველ ნომერში, სხვათა შორის, დაბეჭდილია ***-ის (ილ. ჭავჭავაძის) ახალი (იქნება ძველიც) პოემის „მეფე დიმიტრის თავდადებულის“ დასაწყისი. დასაწყისი ჩინებულია; დასასრული ვნახოთ... ბოლოს იცის ხოლმე ჩვენმა ჩინებულმა პოეტმა ხან-და-ხან ღალატი...

*** ჩვენ შევიტყუეთ, რომ ბურჯაანის სასოფლო შკოლის მასწავლებელს უფ. პ. კარბელოვს ქართული პროპისი (საწერი რვეული) შეუდგენია და მალე აბეჭდვინებსო. კეთილი საქმეა...

*** სხვა-და-სხვა ათას გვარ საზოგადოებათა შორის, რომელსაც ჩვენი მაღალი წოდების ხალხი ასეთის ხალისით ადგენს, ამ უკანასკნელს დროს „პირტყვეთა დამცველი საზოგადოებაც“ შესდგა.

იმისთანა საუკუნეში, როდესაც ადამიანიც კი არ არის დაცული სხვა-და-სხვა ფიზიკურ და ზნეობით წვალებისაგან, ჩვენ მაგგვარ პირუტყვთ დამცველ საზოგადოებებს მაინცა-და-მაინც დიდს მნიშვნელობას არ ვაძლევთ.

მაგრამ, უეჭველია, ასე არ ჰფიქრობენ ის პატივცემულნი პირნი, რომელთაც ზემოხსენებული საზოგადოება შეადგინეს თფილისში. ამიტომაც გვიკვირს, რომ ეს საზოგადოება არაფრით არ ამტკიცებს თავის არსებობასა და მოქმედებას: მუდამ დღე, მუდამ წამ ყოველ ქუჩაზე ჰხედავთ, რომ პირუტყვებს იმდენ ტვირთს აღებენ, რომ აღება არ შეუძლიანთ და როცა არ მიდიან, უმოწყალოთ სცემენ და აწვალებენ; მაგრამ ის „პირუტყვების დამცველები“ კი ვერსად ვნახეთ, რომ ერთის ხარისათვის მაინც შეემსუბუქებინათ თავის მძიმე უღელი და ბედი.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქ. ახალქალაქი, 29 დეკემბერს. უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, ახალქალაქის უეზდის დუხაბორების სოფლებში იგზავნებიან დასაყენებლად ყოველ მოსახლეს სახლში ოთხ-ოთხი ომის ველებზედ დაჭრილი და ავათმყოფი სალდათები; საჭმელ-სასმელი სახლის პატრონების უნდა იყოს.

სულ ერთიანათ შეადგენს 2,000 კაცს; წითელი ჯვრის საზოგადოება ყოველ ავათმყოფზე 40 კაპეიკს აძლევს; ახალქალაქის მაზრის უფროსი და დუხაბორების წმინდანი (რომელსაც დუხაბორები თაყვანსა სცემენ), ლუკერია ვასილიევნა კალმაკოვისა, დიდ შემწეობას აძლევენ დაჭრილებსა და ამათ ექიმებსა.

როდესაც ეს დაჭრილები მოიყვანეს დუხაბორებში, სოფ. გორელოვკას მყოფმა მედუქნეებმა—სერგეი არუთინოვმა, ნაზარეთ თოროევმა, პოღოს მარანჯოვმა და ნერსეს მალაკოვმა ყველას ზაკუსკა აჭამეს და არაყი დაალევინეს.

ამ რამდენიმე დღის წინათ ექიმები: რემერტი და როზუნოვი მოვიდნენ დუხაბორებში, მაზრის უმფროსის თანაშემწეობით დაჭრილები დაარიგეს სახლებში ყოველივე სოფლებში.

სუყველა სოფლებში სამხედრო ექიმები არიან, მხოლოდ სოფელს გორელოვკას ალექსანდრაპოლისა და ახალქალაქის მაზრისა ექიმები სწამლობენ; მაგრამ ესაა უბედურობა, რომ ზოგიერთი დაჭრილები ოთხს-ხუთს დღეს ვერა ხედვენ ექიმებსა და შეუხვეველი, უწამლოთ იტანჯებიან; ექიმებს ძაღლებისა ეშინიანთ, სახლებში უსოფლის ნაცვლოდ და უგზიროთ ვერსად ვერ მიდიან.. საზოგადოთ, თუ ხუთი ექვსი კაცი თან არ დასდევს, არა ჰკადრულობენ ავათმყოფების ნახვას. ამის გამოისათ საწყალი დუხაბორები დატანჯულები არიან; ნაცვალსა და გზირს ექიმი იულსკი აგინებს ხოლმე—რატომ სანამდისინ იგი მოსვენებიდგან დალით ადგება, არ უცდიან გარეთ ქარში და სიცივეში...

ჯავახი

გურიიდამ, 31 დეკემბერს. თქვენ თვითონ მოგეხსენებათ და თქვენი პატივცემულის გაზეთი „დროების“ მკითხველებსაც, რომ ამ ერთი-ორი წლის წინათ, გურიაში ხალხის განათლების საქმე ძრიელ კარგათ მიდიოდა, როგორც სასოფლო შკოლების რიცხვის სიმრავლითა, ეგრეთვე მათი მატერიალური მდგომარეობის თან-და-თან გაუმჯობესობითა.

მაგრამ შემდეგ ეს საქველის-მოქმედო და ქვეყნის გამოსადეგი საქმე—როგორღაც პირუკუღმა წასულა: ეხლა, როგორც ამბობენ, გურიაში უმეტესი ნაწილი სასოფლო შკოლებისა დახურულა და დანაშთიცა ამ ბედს მოელის, გარდა ორი სასწავლებლისა: ერთი სოფლის ბ ა ხ ვ ი ს ა, საცა შკოლა არსებობს მატერიალური შემწეობითა და საზოგადოთ-განსხვავებითი მზრუნველობითა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსისა და მეორე სოფ. ნ ი გ ო ი თ ს, საცა შეუხედველათ საზოგადოების სიმცირისა (ვიდრე 250 კომლამდის გლეხებისა) განსხვავებული თაოსნობითა და მზრუნველობით ადგილობრივ მებატონეთა თავადთ მაჭუტაძეთა და თვით შკოლის მასწავლებლის — უ. პალანდარიშვილის მეცადინეობით, ეს სასწავლებელი ამ ჟამათაც წარჩინებულ მდგომარეობაშია. რასაკვირველია, ის პირები, რომელთაც მოვალეობა არის ამ საქველის-მოქმედო საქმის კარგათ წაყვანა, იტყვიან:

„ჩვენი რა ბრალია, შკოლები ომიანობის მიზეზით დაიხურნენ, ქვეყანა დალარიბდა, და მის გამო გლეხებმა ველარ შესძლეს მასწავლებლების ჯამაგირის ძლევაო“ და სხვა ამ გვარი...

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ ამ გვარ თავის გამართლებას, ამისტომ რომ ზოგი იმ შკოლებთაგანი, როგორც ჩვენ გვიანბეს, ომიანობის გახსნამდე სულ დაიხურნენ, მაგალითებრ ე რ კ ვ ე თ ი ს, ხოლო დანარჩენი, თუმცა-ღა შემდეგ ომიანობისა—,მაგრამ იმითანა ადგილებზედ, საცა მტრისაგან შიში სრულებით არ იყო, მაგალითად ჩიბათის, ჯუმათის და სხვანი... მასთან, თუმცა რქოსანი პირუტყვის ჭირით გურიაში წელს გლეხ-კაცებს ერთის მხრით დიდი ზარალი მიეცათ, მაგრამ მეორეს მხრით ამავე ომიანობის მიზეზით გლეხებმა დიდ-ძალი ფული შეიძინეს როგორც სასმელ-საჭმელი-ხორაგების, ცხენის საკვებავის, შეშისა და სხვა ნაირნაირი ხე-ტყის მასალების ძრიელ დიდ ფასად გასაღებით, ეგრეთვე სამხედრო გზებზედ მუშაობითა. მაშასადამე, თუმა კი იმათ წინან დულათ შემგონებელი და წამძღომელი კაცი ჰყოლოდათ, ამ საზოგადო და საზოგადო—სასარგებლო საქმისათვის, თითქმის ყველა გლეხები, თავის შეუვიწროებელათ, დიდის სიხარულით შესწირავდნენ კომლზედ თითო-ორ-ორ მანეთს და მის გამო ომიანობის მიზეზით შკოლები, არა თუ დაიხუროდნენ, არამედ გაუმჯობესდებოდნენ და გამრავლდებოდნენ.

დასასრულ, ამ სამწუხარო ამბებთან საჭიროდ ვრაცხთ სასიამოვნო ამბავიც დავსძინოთ: რიცხვთა შორის სხვათა შემოქმედის სასოფლო შკოლაც დახურულა, მაგრამ იქაურ მცხოვრებს აზნაურს მოსე გიორგის ძეს დუმბაძეს მოლაპარაკება მოუხდენია თავის მახლობელ მეზობლებთან, აზნაურთან თუ გლეხკაცებთან, და ამ გვარი მისი თაოსნობით შემოქმედში კერძოობითი შკოლა გახსნილა; მასწავლებელად მოუწოდებიათ ადრინდელი სასოფლო შკოლის მასწავლებელი ანტონ ცეცხლაძე, რომლისთვისაც წელიწადში ოცი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნავთ; ოთახი სასწავლებლისთვის, დრომდის, თვით მოსე დუმბაძეს დაუთმია თავისსავე სახლში, საცა ჯერ-ჯერობით ვიდრე თოთხმეტამდინ მოწაფენი არიან შეგროვებული და სწავლობენ პირველ-დასაწყისი სასწავლებლის საგნებს რუსულს და ქართულს ენებზედ.

ვისურვოთ, რომ სხვა სოფლებში, საცა საზოგადოების შკოლა დაიხურა ანუ ჯერ სრულებით არ გახსნილა, იქაურმა მებატონეებმა და სამღვდელო პირებმა, ხსენებული შემოქმედის მაგალითს მიხედონ და გამართონ მსგავსი საშუალებით კერძო სასწავლებლები...

თანამგრძნობელი

სოფ. ნაგომარი 31 დეკემბერი

## უცხო ქვეყნები

### იტალია

იტალიის კაროლის ვიქტორ ემმანუელის სიკვდილი, უეჭველია, უმნიშვნელოდ არ ჩაივლის ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამბობენ, რომ იმის მემკვიდრე გუმბერტი მომხრეაო გერმანიისა და ყველა შემთხვევაში იმის მხარეს დაიჭერსო. და ამ გარემოებას, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნება საფრანგეთზე და ახლანდელს ომინობის გათავებაზედაც.

— ვიქტორ ემმანუელის მიცვალებაზედ ჯერ-ჯერობით ეს ამბები მოვიდა: ის 28 დეკემბერს მიცვალებულა; ამ დღეს დილიდამვე ერთობ ცუდათ შექნილა და ამის გამო მოუხმიათ მღვდელი წმ. საიდუმლოს მისაცემად. შემდეგ, ნასადილევს, მომაკვდავს თავის მემკვიდრე მოეხმა და რამდენიმე ხანს ულაპარაკნია იმათთან. საღამოს ათს საათზე ცოტათი კარგათ შექნილა; მაგრამ შუაღამეზე უეცრად გადაბრუნებულა და ცოტა ხნის შემდეგ სული ამოსვლია.

## ნარევი

პლევნოში დატყვევებული ოსმან-ფაშა ამ ჟამად კიევში უნდა იყვეს მოყვანილი და დაბინავებული, რადგან საცხოვრებელ ალაგად იმას ეს ქალაქი ამოურჩიეს.

როგორც მოგეხსენებათ, ეს გამოჩენილი სარდალი პლევნოში უკანასკნელ ბრძოლის დროს, ფეხში დაიჭრა. ის იწერება ახლა სტამბოლში, რომ ჩემი დაჭრილობა მძიმე არ არისო და ექიმები მეუბნებიან, რომ ერთს თვეზე სრულიად განთავისუფლდებიო.

*
* *

ერთს პარიჟულს გაზეთში ოსმან-ფაშის ცოლის თაობაზე იწერებიან:

„ამას წინათ საიდამღაც გავარდა ხმა, რომ ოსმან-ფაშა მოკვდაო. როცა ეს ამბავი უიმისოთაც გულ-მოკლულმა იმის ცოლმა გაიგო, ვერ გაუძლო და საწყალი მეორე დღესვე მოკვდა სტამბოლში.“

*
* *

პარიჟში მისულა ამ ცოტა ხანში სპარსეთის შაჰის სეკრეტარი მირზა-ალი-ხანი, რომელსაც, როგორც იწერებიან, მინდობილი აქვს, სადგომის დამზადება რომ თავის ხელმწიფისათვის, რომელიც ამ ზაფხულს კიდევ აპირებს ევროპის დავლასა და იქაური წყობილების და ხასიათების გაცნობას.

## ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა:

| | ფაეტონის | დროჟკის |
|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 კაპ. | 25 კაპ. |
| საათი . . . . . . | 80 „ | 55 „ |
| ქალაქიდამ—ნავთლუღს | 80 „ | 50 „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 „ | 45 „ |
| — მუშტ. და უკან 1/2 საათი გაჩერება | 1 მან. 20 „ | 90 „ |
| რკ. გზიდამ ნავთ. | —2 „ — | „ 1მან.50 „ |
| —დამოჟნამდინ— | 1 „ 50 | „ 1 „ — „ |
| —ქალაქ. ყველგან | 1 „ — | „ — „ 70 „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ. | — „ 80 | „ — „ 50 „ |
| — ნავთლუღიდამ | 1 „ 50 | „ 1 „ — „ |
| რკინის გზამდინ და უკან — — | —1 „ 30 | „ — „ 90 „ |

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

## განცხადებანი

### ჩაის მაღაზია

## პ. პ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაედანზე, ტერასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჟდენ ბედინიძე

## დაიკარგა

ქართული ლოცვის წიგნი ხავერდის კაზმიანი მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს იარმუკაზე დემურიოვის სახლში № 4 რომლისათვინაც მიიღებს სამს მანეთს საჩუქარს;

### მიეცემა

## სასესხებელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან-ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

რასპორიადიტელნი კომიტეტი საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს თბილისის საქალო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლე მზრუნველობა, უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ დროით შემოიტანონ მომავალის 1878 წლის ხვედრი ფული, როგორათაც ამას საზოგადოების უსტავის მეოთხე პარაგრაფი მოითხოვს. ფული უნდა ჩაჰბარდეს საზოგადოების კაზნაჩეის, ვახტანგ დიმიტრის ძეს თულაშვილს, თბილისის ოკრუჟნი სუდში, დილის 10-ს სათიდამ ნაშუადღევის 2-ს სათამდე.

### ქართული სახალხო სიმღერები

შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

მომავალს 1878 წელს
ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი

## „კავკაზი“

გამოვა მუდამ დღე, გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.
ამ გაზეთის შინაარსს შეადგენს: I. ოფიციალური ნაწილი (მმართებლობის ბრძანებანი და განკარგულებანი, ოფიციალური დოკუმენტები). II. არაოფიციალური ნაწილი: ა) მოწინავე სტატიები ისეთს საგნებზე, რომელთაც საზოგადო სახელმწიფო ანუ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ; ბ) შინაური ამბები რუსეთისა და ადგილობრივ ცხოვრებიდამ; გ) პოლიტიკური ცნობები რედაქციის სახელმძღვანელო სტატიებითა და ტელეგრამმებით; დ) სტატიები, რომელნიც ისტორიულის, ეტნოგრაფიულის, სტატისტიკურის, ეკონომიურის და სხვ. მხრით შეეხებიან კავკასიას; ე) ფელტონი და ვ) ცნობის ფურცელი. III. სახაზინო და კერძო განცხადებანი

გაზეთის ფასი: ქალაქის ხელის-მომწერლებისათვის, ერთის წლით—11 მან. და 50 კაპ., ½ წლით—6 მანეთი. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის, ერთის წლით—13 მან., ½ წლით—7 მან.

შეიძლება დრო-გამოშვებით შემოიტანონ გაზეთის ფასი: მოსამსახურე პირებისათვის ხაზინადარის საშუალებით და რომელნიც არ მსახურებენ, იმათ რედაქციასთან დათანხმებით.

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში, რედააქციის კანტორაში.

ქალაქის გარეშე მცხოვრებნი ამ ადრესით გამოგზავნიან მოთხოვნილებას: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Кавказъ“.

რედაქტორი და გამომცემელი ნ. ი. ვორონოვი  რ. (3—1)

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| | | | ღამე | | | | | |
| ყვირილა. . | 1 | 18 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 2 იანვარს. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი ჰანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 256 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | – |
| ბანკის ბილეთი 5%. | 95 | 50 |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 229 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 226 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკი | 85 | 25 |
| მოსკოვის . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. ზღვ.-ის | 527 | — |
| კავკაზის და მერკური . | 225 | — |
| პიოვ. სახლევე. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. სახლვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის სახლვევ. საზ. | 268 | — |

### ბაზანდა

| თფილისი, 2 იანვარს | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 2 | 20 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 9 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 10 | — |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 90 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 80 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 72 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 9 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 8 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 45 |

Дозволено цензурою Тифлисъ, 5 Янвтря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.